



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ. ბათუმი
„ 30 “ მარტი, 2021 წელი

№გ - 15152108912

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N77 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილ წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე